საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

მარტი, 2023

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია (ACCC)

დიზელის და ბენზინის ფასები

საერთაშორისო ფაქტორებმა დიზელის ფასი ბენზინის ფასთან მიმართებაში საგრძნობლად მაღალი დატოვა. ACCC-ის ბოლო კვარტალური ბენზინის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, ბენზინის ფასი ოდნავ გაიზარდა და დიზელის ფასი მნიშვნელოვნად მაღალი დარჩა.

ანგარიშის მიხედვით, საცალო ბენზინის ფასი ხუთ უმსხვილეს ქალაქში (სიდნეი, მელბურნი, ბრისბენი, ადელაიდა და პერტი) იყო 182,7 ცენტი ლიტრზე (cpl), რაც 2022 წლის სექტემბრის კვარტალთან შედარებით გაიზარდა 5,0 ცენტით. დიზელის საშუალო საცალო ფასი იყო 222,9cpl, 40.0cpl -ზე მეტი ბენზინის საშუალო ფასზე.



დიზელის ფასმა გადააჭარბა ბენზინის ფასს საერთაშორისო ფასების გაზრდის გამო.

რუსეთიდან დიზელის შემცირებულმა მიწოდებამ და საფრანგეთში გადამამუშავებელი ქარხნების გაფიცვების გამო, გათბობაზე გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად, ზამთარში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დიზელმა მაღალი ფასი შეინარჩუნა.

საწვავის საცალო ფასები ავსტრალიაში დიდწილად განისაზღვრება საწვავის საერთაშორისო ფასებით, რაც გავლენას ახდენს ნედლი ნავთობის საერთაშორისო ფასებით და AUD–USD გაცვლითი კურსით.

ACCC 2007 წლიდან აკონტროლებს საცალო ფასებს ყველა ქალაქში და ავსტრალიის 190-ზე მეტ რეგიონში. 2022 წლის 14 დეკემბერს უწყებას დაემატა ახალი მიმართულება, რათა აკონტროლოს ფასები, ხარჯები და მოგება, რომელიც დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების მიწოდებასთან და ავსტრალიაში ნავთობპროდუქტების მრეწველობაში და მოამზადოს ანგარიში ყოველ კვარტალში შემდგომი სამი წლის განმავლობაში.

[წყარო:]

2

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია (ACCC)

მომხმარებლების შეცდომაში შეყვანისთვის კომპანია დაჯარიმდა 6 მილიონით

კომპანია Booktopia გადაიხდის 6 მილიონ დოლარს მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი განცხადებებისთვის.

ფედერალურმა სასამართლომ Booktopia -ს დაავალა 6 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა, მის ვებსაიტზე და მომხმარებლებთან ურთიერთობისას მომხმარებელთა საგარანტიო უფლებების შესახებ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისთვის, რომ მომხმარებლებს ჰქონდათ თანხის დაბრუნების, ნივთების შეკეთების ან გამოცვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აცნობებდნენ Booktopia-ს პროდუქტის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. Booktopia აღიარა, რომ მისი ბიზნესის პირობები შეიცავდა შეცდომაში შემყვან ინფორმაციას და აღნიშნა, რომ მომხმარებლებს არ ჰქონდათ თანხის დაბრუნების შესაძლებლობა ციფრულ პროდუქტებზე, როგორიცაა ელექტრონული წიგნები, მათ შორის, თუ პროდუქტი გაუმართავი იყო.

გარდა 6 მილიონი დოლარის ჯარიმისა, სასამართლომ დაავალა Booktopia-ს გამოექვეყნებინა შეტყობინება თავის ვებსაიტზე და 21 დღის განმავლობაში ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამოსწორების მიზნით შეექმნა მომხმარებელთა კანონმდებლობასთან შესაბამისობის პროგრამა.

[წყარო:]

1

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

ანტიკონკურენტული პრაქტიკა ფინანსურ სექტორში

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ (HCC) გადაწყვიტა ფინანსური მომსახურების სექტორში გარკვეული პრაქტიკის სიღრმისეული მოკვლევა, რომელიც შეიძლება არღვევდეს კონკურენციის კანონს.

აღნიშნული პრაქტიკა მოკვლეულია წარდგენილი საჩივრის კონტექსტში კონკურენციის გენერალური დირექტორატის (DGC) მიერ, რომელიც ეხებოდა საგადახდო მომსახურების ბაზრებს და ბანკთაშორის სისტემებს. მოკვლევის ფარგლებში DGC-მა 2019 წლის 8 ნოემბერს და 2021 წლის 14 დეკემბერს ჩაატარა რეიდები სექტორში მოქმედი საწარმოების შენობებში.

ასევე აღსანიშნია, რომ 2022 წლის 6 ოქტომბერს, უწყებამ კომისარ-მომხსენებელს დაავალა კონკურენციის კანონის პოტენციური დარღვევების მოკვლევა გარკვეული საფასურის დარიცხვასთან დაკავშირებით. საბერძნეთის კონკურენციის კომისია პასუხისმგებელია საბერძნეთის ტერიტორიაზე საბერძნეთისა და ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესების აღსრულებაზე.

აღნიშნული მოკვლევის ვადა დამოკიდებულია, მის სირთულეზე, საქმის მასალების ზომაზე, ასევე ჩართული პირების თანამშრომლობის რაოდენობასა და ხარისხზე.

[წყარო:]

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

ჯარიმა შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის გამო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისმა eBilet-ი დაადანაშაულა მომხმარებლების შეცდომაში შეყვანაში. საკითხი ეხება საიტზე შემოთავაზებული ბილეთების რეალურ ფასს.

უწყებამ შეისწავლა ონლაინ ვებგვერდები, რომლებიც ყიდიან ბილეთებს სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებებისთვის. გარკვეულ ეჭვებს ბადებს ფასები, რომელიც ტრანზაქციის საწყის ეტაპზე არ მოიცავს ყველა სავალდებულო გადასახადს.

ბილეთების ძებნისა და შეთავაზების წაკითხვის საწყის ეტაპზე მომხმარებელს ეცნობება მინიმალური ფასები, მაგ. "100 PLN-დან", "275 PLN-დან". კონკრეტული ღონისძიების საიტზე შესვლის შემდეგ, მინიმალური ფასი კვლავ ციტირებულია და დამატებით ახსნა-განმარტების ველში, რომელიც მონიშნულია ასო „i"-ით, იკითხება, რომ შესაძლებელია დამატებითი საფასურის დარიცხვა. სავალდებულო მომსახურების საფასურის ოდენობა გამოჩნდება მხოლოდ ბილეთის კატეგორიისა და ტიპისა შერჩევის შემდეგ.

უწყებამ მოკვლევის ფარგლებში შეისწავლა 300-ზე მეტი შეთავაზება, რომლებიც ხელმისაწვდომია ebilet.pl ვებსაიტზე, ყოველ ჯერზე ფინალურ ეტაპზე ფასს ემატებოდა მომსახურების საფასური. რაც ადასტურებს, რომ მეწარმის მარკეტინგული გზავნილი შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი.

eBilet-ს არ შეუცვლია თავისი პრაქტიკა გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად, უწყებამ კომპანიას მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების ხელყოფის ბრალდება წაუყენა. დადასტურების შემთხვევაში მეწარმეს ემუქრება ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე.

[წყარო:]

2

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

MERIDA POLSKA დაჯარიმდა 2,5 მილიონი პოლონური ზლოტით

6 წლის განმავლობაში კომპანია Merida-მ თავის დისტრიბუტორებს აუკრძალა ველოსიპედების ონლაინ გაყიდვა. რის შედეგადაც, ბაზარი გაიყო და მომხმარებლების შესაძლებლობები შემოიფარგლება მხოლოდ უახლოესი ტრადიციული მაღაზიების არჩევით.

Merida Polska არის Merida ველოსიპედების ექსკლუზიური დისტრიბუტორი პოლონეთში. აღნიშნული ბრენდის ველოსიპედების გაყიდვები ხორციელდება დისტრიბუტორების კარგად განვითარებული ქსელის მეშვეობით, რომლებიც მართავენ ონლაინ მაღაზიებს. UOKIK-მა დაადგინა, რომ 2014-2020 წლებში კომპანიამ თავის დისტრიბუტორებს აუკრძალა ონლაინ გაყიდვა. მაღაზიას, რომელიც გასაყიდად მომხმარებლებს სთავაზობს ველოსიპედებს მაღაზიაში, შეუძლია მხოლოდ Merida-ს პროდუქციის წარდგენა თავის ვებსაიტზე და შეკვეთების დისტანციურად განთავსების უზრუნველყოფა. Merida-ს მიერ დანერგილი წესების დაცვით, არც ერთი ონლაინ ტრანზაქცია არ შეიძლებოდა დასრულებულიყო და არც ერთი პროდუქციის გაგზავნა არ შეიძლებოდა მომხმარებლებთან, ველოსიპედის ყიდვის მსურველი მომხმარებელი უნდა მისულიყო მაღაზიაში. უფრო მეტიც, Merida-მ აუკრძალა თავის დისტრიბუტორებს ველოსიპედების გაყიდვა აუქციონის ვებსაიტებზე. ამრიგად, Merida-სა და მის დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებები რეალურად მიზნად ისახავდა ამ ბრენდის ველოსიპედების ინტერნეტით გაყიდვის სრულ აკრძალვას.

ონლაინ გაყიდვების შეზღუდვამ გამოიწვია ბაზრის ფაქტობრივი, ტერიტორიული დაყოფა. ინტერნეტს არ აქვს რაიმე გეოგრაფიული საზღვრები. მიუხედავად მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილისა, დისტრიბუტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაუწიოს მათ კონკურენცია ელექტრონული კომერციის საშუალებით. თუმცა, თუ მომხმარებელმა იცოდა, რომ ველოსიპედი უნდა შეეძინა მაღაზიაში, ისინი არ გაითვალისწინებდნენ დისტრიბუტორების შეთავაზებას, რომლებთანაც მათ დასჭირდებოდათ გრძელი მანძილის დაფარვა, რამაც მატერიალურად შეზღუდა კონკურენცია დილერებს შორის.

ველოსიპედის გაყიდვის შიდა ბაზარზე ანტიკონკურენტული პრაქტიკისთვის, კომპანია Merida Polska დაჯარიმდა 2,445,329 PLN ოდენობით.

გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შეიძლება გასაჩივრდეს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სასამართლოში.

წყარო:

3

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

DEUTSCHE BANK POLSKA დაჯარიმდა 5,7 მილიონი პოლონური ზლოდით

კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისმა მომხმარებელთა ინტერესების დარღვევისთვის დააჯარიმა კომპანია 5,7 მილიონი PLN-ის ოდენობით.

ბანკმა ცალმხრივად შეცვალა დებულებები საკრედიტო საშუალებების ან იპოთეკური სესხების დაფარვის საკომისიოების შესახებ, მეწარმეებს არ აქვთ უფლება ცალმხრივად შეცვალონ დებულებები. მომხმარებელს უფლება აქვს აინაზღაუროს ბანკის მიერ დაწესებული საკომისიო.

დაუშვებელია ხელშეკრულებებში დებულებების ცალმხრივი შესწორება, ეს არის პრაქტიკა, რომლის გამოც Deutsche Bank დაჯარიმდა 5,7 მილიონ PLN-ზე მეტი (5,750,370 PLN) UOKIK-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანეს ბანკის მიერ ყალბი ინფორმაციის გავრცელებით, რომელიც ცვლიდა საკომისიოს ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო საშუალებებით ან იპოთეკური სესხებით, მათ შორის შვეიცარიულ ფრანკში.

გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, ადმინისტრაციული წარმოების მსვლელობისას, ბანკმა, ნაცვლად იმისა, რომ შეეწყვიტა აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება, 2019 წლის სექტემბერში თავის მომხმარებლებს შორის გაავრცელა ინფორმაცია ამ პუნქტებში ცალმხრივი ცვლილების შესახებ. სწორედ ამისთვის დაჯარიმდა ბანკი და ახლა მან მომხმარებლებს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და მეწარმეს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სასამართლოში.

წყარო:

1

ავსტრიის კონკურენციის ფედერალური უწყება (AFCA)

AFCA იწყებს მოკვლევას საკვების მიწოდების ონლაინ პლატფორმაზე

COVID-19 პანდემიის შემდეგ, საკვებისა და სასმელების ონლაინ მიწოდების პლატფორმები მიტანის სერვისით სულ უფრო პოპულარული გახდა მომხმარებლებისთვის, ასევე რესტორნებისთვის, რომლებიც მათ გაყიდვების არხად იყენებენ. UberEats-ის ბაზრიდან გასვლის შემდეგ ავსტრიაში, mjam და Lieferando.at გახდნენ ორი მნიშვნელოვანი პროვაიდერი ვენაში. ისინი გვთავაზობენ ციფრულ ბაზრებს, სადაც მომხმარებელთა რამდენიმე ჯგუფს შეუძლია ერთმანეთთან დაკავშირება (ე.წ. პლატფორმის მხარეები).

თუ ბევრი საბოლოო მომხმარებელი ეყოლება პლატფორმას, რესტორნები უფრო მეტ საკვებ პროდუქტს შესთავაზებენ მომხმარებელს, და ეს მათ უფრო დიდ არჩევანს მისცემს. ბაზრები, რომლებშიც ქსელის ეფექტურობაში დიდ როლს თამაშობენ, როგორც წესი, ძალიან კონცენტრირებულია.

საკითხები, რომლებიც წარმოიქმნება ბაზარზე მაღალი კონცენტრაციით ონლაინ საკვების მიწოდების პლატფორმებზე:

- ექსკლუზიურობის პუნქტები
- ყველაზე უპირატესი პუნქტები
- საკუთარი პროდუქტების უპირატესობა
- არაგამჭვირვალე ან დისკრიმინაციული რეიტინგი

- შესვლის ბარიერები ბაზრის პოტენციური მონაწილეებისთვის
- შეცვლის ხარჯები რესტორნებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის
- სხვა შეზღუდვები

AFCA იწყებს ბაზრის ახალ კვლევას, იკვლევს ვენის რესტორნებსა და წამყვან კომპანიებს, რათა მკაფიოდ გაიგოს, თუ როგორ მუშაობს ეს პლატფორმები და შეაფასოს და გამოავლინოს ნებისმიერი სტრუქტურული ფაქტორი, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს კონკურენციის დამახინჯებაზე.

[წყარო:]

1

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

მცენარეული ზეთის ბაზარი

სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის კომისიამ 2022 წელს შეისწავლა მცენარეული ზეთის ბაზარი, კვლევით ცენტრ „ამბერდთან“ ერთად. მოკვლევის ფარგლებში „ამბერდის“ კვლევითი ცენტრი უწყებას დაეხმარა შესაძლო პროგნოზების განხორციელებაში და საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრების სამომავლო ტენდენციების შეფასებაში. კომისიამ შეაფასა გაყიდვების ყველა ქსელში კერძო სექტორის ქცევა და ხაზი გაუსვა ბაზარზე არსებულ პრობლემებს.

მოკვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მცენარეულ ზეთზე გლობალური მოთხოვნა დაახლოებით 40%-ით გაიზარდა. მკვეთრი ზრდა განაპირობა მცენარეული ზეთის ბიოსაწვავად გამოყენებამ, საშუალო წლიური ზრდა განხორციელდა 21,4%-ით.

მცენარეული ზეთის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნები არიან ინდონეზია, ჩინეთი და მალაიზია, რომლებიც ერთად შეადგენდნენ გლობალური მცენარეული ზეთის წარმოების 47,4%-ს. ასევე მსხვილი მწარმოებლები არიან აშშ, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია.

მცენარეული ზეთი მთლიანად იმპორტირებულია და გამოიყენება კვების მიზნით. 2021 წელს მზესუმზირის და სიმინდის მცენარეული ზეთების მთლიანი იმპორტი 100-მდე ეკონომიკურმა ოპერატორმა განახორციელა, დაახლოებით 25,5 ათასი ტონა, იმპორტის 98% განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან.

გაყიდვების ყველაზე დიდი მოცულობის მქონე 3 წამყვანი ბიზნეს სუბიექტის წილები თითქმის თანაბარი იყო ბაზარზე. მათი წილების ჯამი 2020 წელს 64,1%, ხოლო 2021 წელს 64,6% იყო.

2020-2021 წლებში მცენარეული ზეთის გაყიდვის ფასების რყევები ძირითადად შეესაბამებოდა მსოფლიო ფასების რყევებს.

სუპერმარკეტების მიერ გამოყენებული საფასო პოლიტიკის ფარგლებში დაფიქსირდა გარკვეული მიმართულებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის პრობლემა, რის საფუძველზეც კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შესაძლო პრობლემების უფრო სრულყოფილად შესწავლისა და გამოვლენის მიზნით.

[წყარო:]

2

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ბაზარი

სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის კომისიამ შეისწავლა ხუთ ძირითად ბაზარს შორის ტვირთის გადაზიდვის მომსახურების მიწოდების სექტორი. კვლევა განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის მონაცემებით, RA-ს საერთაშორისო ტვირთების დაახლოებით 55.8% განხორციელდა საავტომობილო გზით, 29% საავტომობილო მილსადენით, 15% სარკინიგზო და 0.2% საჰაერო ტრანსპორტით.

საავტომობილო ტვირთების გადაზიდვის კუთხით RA-ში იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებში ხორბალი, მზესუმზირის ზეთი და შაქარი მოხვდა, ხოლო ექსპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს შორის –კონიაკი, მინერალური წყალი და ახალი ან გაყინული თევზი.

2021 წლის მონაცემებით, საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელებული საერთაშორისო ტვირთების დაახლოებით 77 პროცენტი მოდიოდა იმპორტზე: 3,033 ათასი ტონა, ხოლო ექსპორტის 23 პროცენტი - 884 ათასი ტონა,

კვლევაში შეტანილ იმპორტირებულ პროდუქტებს შორის ტრანსპორტირების ხარჯების წილი 8-12% იყო მზესუმზირის ზეთისა და შაქრის გასაყიდ ფასებში, ხოლო ხორბლის ღირებულების სტრუქტურაში - საშუალოდ დაახლოებით 24%.

ექსპორტირებულ პროდუქტებს შორის, კონიაკის, მინერალური წყლისა და მტკნარი ან გაყინული თევზის რეალიზაციის ღირებულებაში ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები საშუალოდ დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

სომხურმა საექსპედიტორო კომპანიებმა არ წარმოადგინეს მკაფიო ფასების მექანიზმები და განაცხადეს, რომ ფასები დაწესებულია კონკურენტების მიერ შეთავაზებული ფასების მიხედვით (სექტორში ჩამოყალიბებული საშუალო ფასი).

სარკინიგზო ტრანსპორტით საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის უმეტესი ნაწილი იმპორტით ხორციელდება: 62 პროცენტი (648 ათასი ტონა), ხოლო ექსპორტზე მოდის გადაზიდული ტვირთის 38 პროცენტი (401 ათასი ტონა).

2021 წლის მონაცემებით, სარკინიგზო ტრანსპორტით იმპორტირებულ საქონელს შორის ყველაზე დიდი მოცულობა ნავთობპროდუქტებს ჰქონდათ: 385 779 ტონა (დაახლოებით 60%), ხოლო ექსპორტირებულ საქონელს შორის სამრეწველო ნედლეულისა და ლითონის კონცენტრატების ჯგუფს - 148 189 ტონა. დაახლოებით 62%).

კვლევის შედეგად შეთავაზებულ იქნა საგზაო გადასახადის განაკვეთის უფრო მოქნილი სისტემის დანერგვა საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის სფეროში.

[წყარო:]

გერმანიის კონკურენციის უწყება (BUNDESKARTELLAMT)

1

MICROSOFT

Bundeskartellamt-მა დაიწყო საქმის წარმოება Microsoft-ის წინააღმდეგ, რათა გამოიკვლიოს, აქვს თუ არა კომპანიას უდიდესი მნიშვნელობა კონკურენციისთვის ბაზრებზე.

პროცესი ეფუძნება უფლებამოსილებებს, რომლის დროსაც უწყებას შეუძლია აუკრძალოს ბაზრებზე კონკურენციის უმთავრესი მნიშვნელობის კომპანიებს ანტიკონკურენტული პრაქტიკაში ჩართვა.

Microsoft-ს აქვს ხანგრძლივი და ძალიან ძლიერი პოზიცია ოპერაციული სისტემებისა და საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით. ამის საფუძველზე კომპანია მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს როგორც ბიზნეს მომხმარებლებისთვის, ასევე უბრალო მომხმარებლებისთვის. ამას ემატება სერვისების Azure და OneDrive მნიშვნელობის მკვეთრი ზრდა, რომლებიც დაკავშირებულია Microsoft-ის სხვა აპლიკაციებთან, და Teams-ის, ვიდეო კონფერენციებისა და ერთობლივი მუშაობის პროგრამული უზრუნველყოფის აბსოლუტური წარმატება. გარდა ამისა, Microsoft აქტიურია სხვა სფეროებშიც, მათ შორის თამაშში თავისი Xbox-ით, ქსელებით და მისი სერვისით LinkedIn ან ინტერნეტის ძიებაში მისი საძიებო სისტემით Bing. ამ ყველაფრის ფონზე, გახდა საჭირო კომპანიის საქმიანობის შესწავლა, იმის გასაგებად თუ რა როლი აქვს Microsoft კონკურენტულ ბაზრებზე. ამით უწყებას მიეცემა საშუალება მიიღოს ზომები ადრეულ ეტაპზე და აკრძალოს შესაძლო ანტიკონკურენტული პრაქტიკა.

[წყარო:]

1

იტალიის კონკურენციის უწყება

ონლაინ ვაჭრობა

bancodellasalute.it და officinalia.com ვებსაიტები დაიხურა ონლაინ გაყიდული პროდუქციის მიუწოდებლობის გამო.

იტალიის კონკურენციის უწყებამ მიიღო მრავალი საჩივარი მომხმარებლებისგან იმის შესახებ, რომ ისინი ყიდულობდნენ პროდუქციას აღნიშნული საიტების მეშვეობით, თუმცა მომხმარებლები ვერ იღებდნენ შეძენილ პროდუქციას და მათ არც თანხა უბრუნდებოდათ.

უწყებამ მიიღო დროებითი გადაწყვეტილება Tomorrowland-ის და Pet Clan -ის წინააღმდეგ. რომლებიც მოქმედებენ დომენების Bancodellasalute.it და officinalia.com შესაბამისად.

იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანიებს 15 თებერვალს აცნობა საგამოძიებო საქმის დაწყებისა და შუალედური პროცესების შესახებ. იტალიის უწყებამ შუალედური ღონისძიების სახით ბრძანა უკანონო ქმედების შეჩერება, რომელიც ძირითადად გამოწვეული იყო შეძენილი საქონლის მიუწოდებლობით და მომხმარებლებისთვის დახმარების ან თანხის დაბრუნების საკითხში. იმავე გადაწყვეტილებით იტალიის კონკურენციის ორგანომ გასცა ბრძანება საიტებზე Bancodellasalute.it და officinalia.com-ზე წვდომის აკრძალვის შესახებ. უწყებამ მოითხოვა თანამშრომლობა Guardia di Finanza-ს ანტიმონოპოლიური განყოფილებასთან (იტალიის ფინანსური პოლიცია).

[წყარო:]

1

კონკურენციისა და ბაზრების უწყება (გაერთიანებული სამეფო)

სამშენებლო კარტელი

უწყებამ კონკურენციის კანონის დარღვევისთვის სამშენებლო კომპანიები დააჯარიმა, საკითხი ეხებოდა ტენდერებში შეთანხმებას. CMA-მ დააჯარიმა 10 სამშენებლო კომპანია, ჯარიმის რაოდენობამ დაახლოებით 60 მილიონი ფუნტი შეადგინა, დანგრევისა და აზბესტის მოცილების კონტრაქტებისთვის, რომლებიც მოიცავდა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის პროექტებს. CMA-მ ასევე უზრუნველყო უკანონო ქმედებაში ჩართული ფირმების 3 დირექტორის ტენდერებიდან დისკვალიფიკაცია.

სატენდერო შემოთავაზება ეხებოდა 19 კონტრაქტს, რომლის ღირებულება ჯამში 150 მილიონ ფუნტზე მეტი იყო.

დაზარალებულთა შორის იყო პოლიციის სასწავლო კოლეჯი, ბოუ სტრიტის სასამართლო, სელფრიჯესის და ოქსფორდის უნივერსიტეტები.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა ავსტრალიის, საბერძნეთის, პოლონეთის, სომხეთის, იტალიის, ავსტრიის და ბრიტანეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები.

---

(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი", მე-10 სართული